თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 15

ქ. თელავი 14.11.2018 წელი

თავმჯდომარეობდა: საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე დ. გოგოშვილი

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ტ. დარეჯანიშვილი; ა. შათირიშვილი; ნ. ხვისტანი; ზ. ლილუაშვილი.

აგრეთვე ესწრებოდნენ: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში მოწვეული სპეციალისტი - ლ. ფარსადანიშვილი; თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ნ. ვაყელიშვილი; მოქალაქე - მ. მოსიაშვილი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის კვარტალური (9 თვის) მიმოხილვის შესახებ.

მომხსენებელი - დ. გოგოშვილი

თანამომხსენებელი - ნ. ვაყელიშვილი

მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის კვარტალური (9 თვის) მიმოხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: დ. გოგოშვილმა საკითხთან დაკავშირებით განმარტებები მოსთხოვა საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსს ნ. ვაყელიშვილს

მან აღნიშნა რომ თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი 9 თვის განმავლობაში განისაზღვრა 28986,24 ათ. ლარის ოდენობით.

აქედან, შემოსავლების გეგმა 9 თვის განმავლობაში დაგეგმილი იყო 14243,42 ათ. ლარით, ფაქტიურმა შემოსავლებმა შეადგინა 15170,55 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 106,5% -ით; გადასახადებიდან მირებულმა შემოსავლებმა შეადგინა 4544,52 ათ ლარი და გეგმა შესრულდა 135,9% -ით. საშემოსავლო გადასახადი შესრულდა 115,3%-ი; ქონების გადასახადი შესრულდა 148,0%-ით;

გრანტებიდან მიღებული შემოსავლები შესრულდა 97,5%-ით, დაგეგმილი იყო 8836,73 ათ. ლარი ფაქტმა შეადგინა 8616,2 ათ.ლარი. სხვა შემოსავლების გეგმა შესრულდა 97,4%-იტ.

**საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია** - დაგეგმილი იყო 1162,1 ათ. ლარი, ხოლო ფაქტმა შეადგინა 1207,40 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 103,9%-ით.

**ჯარიმებიდან და საურავებიდან შემოსავლების** გეგმა შესრულდა 80,22 %-ით.

**შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები** - მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 3,2 ათ. ლარი. დაგეგმილი იყო 2,5 ათ. ლარი.

**არაფინანსური აქტივების კლებიდან** გეგმა შესრულდა 114,0% -ით.

**სულ შემოსავლების გეგმა** 9 თვის განმავლობაში შესრულდა 106.7%-ით. ამ პერიოდისთვის დაგეგმილი იყო 14 543,42 ათ.ლარი, მიღებულმა საკასო შემოსავალმა კი შეადგინა 15 412,59 ათ.ლარი.

**რაც შეეხება გადასახდელებს** (მ.შ. ვალდებულებების კლების (271,08 ათ.ლარი) გათვალისწინებით) 9 თვის განმავლობაში შესრულდა 86,4%-ით. დაგეგმილი იყო-16724,61 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ (მ.შ. ვალდებულებების კლების (271,77 ათ.ლარი) გათვალისწინებით) შეადგინა 14443,61 ათ.ლარი.

თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის 9 თვის განმავლობაში ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაიხარჯა 37,19766 ათ.ლარი.

თელავის მუნიციპალიტეტის მიერ წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფის ფონდიდან გაიხარჯა 425,39 ათასი ლარი (გეგმა შესრულდა 99,98%-ით).

**გადაწყვიტეს:** მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული წარმოდგენილი მიმოხილვის ბიუროს სხდომაზე განხილვა.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე დ. გოგოშვილი